რეგისტრირებულია
ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს
რაიონული სასამართლოს
2003 წლის „-3-“ დეკემბერი
დადგენილებით რეგისტრაციის № 5/9-806

მოსამართლე:

კავშირი

„საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია“

წ ე ს დ ე ბ ა

ქ. თბილისი

2003 წელი

1. ზოგადი დებულებები

1.1. კავშირის სრული სახელწოდებაა „საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია“ (შემდგომში ასოციაცია).

1.2. ასოციაცია თავის საქმიანობას განახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.3. ასოციაციას უფლება აქვს ჰქონდეს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, როგორც საქართელოში, ისე საზღვარგარეთ და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.4. ასოციაციას კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს დააფუძნოს ფილიალები, სამეურნეო ანგარიშიანი საწარმოები, ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო კონტაქტები სხვა იურიდიულ და კერძო პირებთან, მონაწილეობდეს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სახელმწიფო ვალდებულებებს და გამომდინარეობს ასოციაციის საწესდებო მიზნებიდან, იკისროს ვალდებულებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

1.5. ასოციაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა, მათ შორის უცხოური და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებების წევრი და მათი დამფუძნებელი.

1.6. ასოციაცია არ აგებს პასუხს სახელმწიფოს და მისი ორგანოების ვალდებულებებზე, ისევე, როგორც სახელმწიფო და მისი ორგანოები არ აგებენ პასუხს კავშირის ვალდებულებებეზე.

1.7. ასოციაციის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და შეუძლია განახორციელოს იგი უცხოეთის ტერიტორიაზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობის გზით.

1.8. ასოციაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით. მისი საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.9. ასოციაციის იურიდიული მისამართია:

ქ. თბილისი - 380079, ჭავჭავაძის გამზირი №29

2. ასოციაციის დამფუძნებლები

2.1. ასოციაციის დამფუძნებლები არიან:

1. **გურამ კიკნაძე**, დაბადებული 1940 წლის 27 ნოემბერს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ნუცუბიძის 4 მ/რ, კორპ. 5, ბ.46; პირადი №01010003557, პ/მ №ა 0066443, გაცემული 31.10.1995 თბილისის საბურთალოს რაიონის შს მე-3 ქვეგანყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

2. **გივი ჯავაშვილი,** დაბადებული 1963 წლის 15 აპრილს თბილისში; მცხოვრები ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწინვალის გამზირი №23; პირადი №01025006536, პ/მ №ა 0154295, გაცემული 27.05.1997 თბილისის საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს I ქვეგანყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

3. **მარინე შიხაშვილი**, დაბადებული 1956 წლის 16 აგვისტოს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, მოსაშვილის ქუჩა №9, III სად., ბ.49; პირადი № 01008014794, პ/მ №ა 0169937, გაცემული 08.10.1997 თბილისის ვაკის რაიონის შს სამმართველოს მიერ; პროფესიით ექიმი;

4. **ნინო მოროშკინა,** დაბადებული 1974 წლის 19 იანვარს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ი.ნიკოლაძის ქ. №5ა; პირადი №01017002618, პ/მ №ბ 0060181, გაცემული 30.06.1995 თბილისის მთაწმინდის შს განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

5. **ირმა ხონელიძე**, დაბადებული 1969 წლის 17 სექტემბერს აბაშაში, მცხოვრები ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქუჩა №18, ბ.46; პირადი №01023044554, პ/მ №ბ 0324661, გაცემული 00.00.2001 თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

6. **იამზე ყიფიანი**, დაბადებული 1966 წლის 8 ივნისს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №23, ბ.11; პასპორტი სერია-XIII-ტი №515227, გაცემული 09.07.1983 თბილისის ოქტომბრის რაი-აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

7. **რუსუდან თავხელიძე**, დაბადებული 1968 წლის 8 მაისს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №77ბ; პირადი №01026004983, პასპორტი № 0182289, გაცემული 17.07.96 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ; პროფესიით ექიმი;

8. **ნინო კიკნაძე**, დაბადებული 1972 წლის 22 ოქტომბერს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ნუცუბიძის 4 მ/რ, კორპ. 5, ბ.46; პირადი №01010014743 პ/მ №დ 0374783, გაცემული 19.08.2003 თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს III განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

9. **ალექსანდრე ალადაშვილი**, დაბადებული 1952 წლის 24 იანვარს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, კეკელიძის ქუჩა № 1; პირადი № 01008005482, პ/მ № ა0067399 გაცემული 17.08.1995 თბილისის ვაკის რაიონის შს განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

10. **ეკა ფაღავა**, დაბადებული 1963 წლის 7 იანვარს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა №9 კორპუსი, I სად, ბ.14; პირადი № 01026011596, პ/მ №გ 0374008, გაცემული 04.12.2001 თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს მე-5 განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

11. **ქეთევან ლორია**, დაბადებული 1952 წლის 26 სექტემბერს ბათუმში, მცხოვრები ქ. მცხეთა, აღმაშენებლის გამზირი №58; პირადი №31001003219, პ/მ №ბ 0093831, გაცემული 22.05.1996 მცხეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

12. **აკაკი ბარკალაია**, დაბადებული 1969 წლის 12 სექტემბერს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი მე-3 კვ, კორპ. 17, ბ.33; პირადი №0100907774, პ/მ №ა 0144618, გაცემული 25.10.1996 თბილისის ვაკის რაიონის შს სამმართველოს I-ლი ქვეგანყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;

3. ასოციაციის მიზნები და ამოცანები

3.1. ასოციაციის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ეფექტური პირველადი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებას საოჯახო მედიცინის განვითარებისა და ოჯახის ექიმების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების მაღალი სტანდარტების დანერგვისა და შენარჩუნების გზით.

3.2. ასოციაციის სპეციფიკური მიზნებია:

- ხელი შეუწყოს საოჯახო მედიცინის, როგორც სპეციალობის (დისციპლინის) განვითარებას;
- დაიცვას და წარმოადგინოს საოჯახო მედიცინის, როგორც სპეციალობის ინტერესები;
- ხელი შეუწყოს სათანადო კვალიფიციკაციის ოჯახის ექიმების მომზადებას;
- ხელი შეუწყოს მაღალი პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებას და შენარჩუნებას მომუშავე ოჯახის ექიმებს შორის;
- დაიცვას ოჯახის ექიმების უფლება აწარმოონ პროფესიული საქმიანობა მათი კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა მანიპულაციების (მათ შორის ქირურგიული მანიპულაციების) ჩატარების ჩათვლით;
- ხელი შეუწყოს პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე საშუალო სამედიცინო პერსონალის პროფესიული საქმიანობის სტანდარტების გაუმჯობესებას, შენარჩუნებას, ამ სპეციალობის სამედიცინო პერსონალის პროფესიულ ზრდას.

- ხელი შეუწყოს პირველად ჯანდაცვის სფეროში მომუშავე მენეჯერების პროფესიული საქმიანობის სტანდარტების გაუმჯობესებას, შენარჩუნებას, ამ საქმიანობით დაკავებული პერსონალის პროფესიულ ზრდას.
- ხელი შეუწყოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებში პაციენტებისა და მთლიანად მოსახლეობის განათლებას.

3.3. ასოციაციის ამოცანებია:

- ოჯახის ექიმის სპეციალობის აღწერილობის (ოჯახის ექიმის კომპეტენციის აღწერილობის) მომზადებასა და მის მუდმივ სრულყოფაში მონაწილეობა;
- ოჯახის ექიმის სპეციალობაში დიპლომის შემდგომი მზადების (რეზიდენტურის) და უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემებში მაღალი სტანდარტების დანერგვა, როგორც რეკომენდაციების შემუშავების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების მომზადებისა და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღების გზით;
- რეკომენდაციების მომზადება დიპლომამდელი სამედიცინო განათლების პროგრამების ადაპტაციის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს საოჯახო მედიცინის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.
- ოჯახის ექიმის სპეციალობაში უცხო ქვეყნების გამოცდილებისა და უახლესი მიღწევების შესწავლა, საჭიროებისამებრ მათი ადაპტაცია და დანერგვა საქართველოში;
- მტკიცებითი მედიცინის პრინციპების დანერგვისათვის ხელშეწყობა ოჯახის ექიმის სპეციალობის ფარგლებში;
- ოჯახის ექიმების უზრუნველოფა თანამედროვე საერთაშორისო დონის სადიაგნოზო და სამკურნალო სახელმძღვანელო რეკომენდაციებით მათი თარგმნისა და ადაპტაციის, აგრეთვე ორიგინალური ვერსიების შემუშავების გზით;
- უცხო ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ნაციონალური და საერთაშორისო პროფესიული ასოციაციების ჩათვლით, თანამშრომლობა საქართველოში საოჯახო მედიცინის განვითარების ხელშეწყობის მიზნით; ამავე მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანება;
- ოჯახის ექიმების, აგრეთვე ოჯახის ექიმის სპეციალობის დაუფლების პროცესში მყოფი რეზიდენტებისთვის დახმარების აღმოჩენა უცხოეთში გასამგზავრებლად პროფესიული კომპეტენციის ამაღლების მიზნით;
- საოჯახო მედიცინაში პროფესიული ლიტერატურის, განსაკუთრებით სახელმძღვანელოების მომზადებისათვის ხელშეწყობა, მათ მომზადებასა და გამოცემაში მონაწილეობა;
- კანონით დადგენილი წესით საგამომცემლო და სარეკლამო (სოციალური რეკლამა) საქმიანობა საქართველოს მოსახლეობისათვის ფართოდ გავრცელებული დაავადებების შესახებ პოპულარულ ენაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- თანამშრომლობა პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სხვა სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალთან პირველადი ჯანდაცვის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე საშუალო სამედიცინო პერსონალის და მათი გაერთიანებების მხარდაჭერა პროფესიული სტანდარტების ამაღლების საქმეში;
- საოჯახო მედიცინის ცენტრების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა.

4. ასოციაციის უფლებამოსილებანი

4.1. თავისი მიზნების მისაღწევად კავშირს უფლება აქვს:

- დასახული მიზნიდან გამომდინარე, შექმნას და/ან თარგმნოს საცნობარო, პროფესიული და საგანმანათლებლო ლიტერატურა სამედიცინო პერსონალის, ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებისა და მოსახლეობისთვის;
- აწარმოოს საგამომცემლო საქმიანობა;
- ორგანიზაცია გაუკეთოს და წარმართოს სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამები/კურსები სამედიცინო პერსონალისთვის, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა ოჯახის ექიმებისა და პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სხვა სამედიცინო პერსონალისათვის, აგრეთვე მოსახლეობისთვის;
- საკუთარი ინიციატივით, აგრეთვე, დაინტერესებულ ორგანიზაციათა ან კერძო პირთა დაკვეთით, ხელშეკრულების საფუძველზე, აწარმოოს სამეცნიერო შრომებისა, სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და ექსპერტიზა;
- დასახოს და დააფინანსოს სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა;
- დააწესის ჯილდოები და პრემიები სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობისათვის;
- მოაწყოს ადგილობრივი, ნაციონალური და საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები;
- მოიწვიოს უცხოელი სპეციალისტები და მიავლინოს ქართველი სპეციალისტები სხვა ქვეყნებში;
- მიიღოს საქართველოსა და უცხოეთის კერძო და იურიდიული პირებისაგან გრანტები და შესაწირი კანონითა და წესდებით დადგენილი ფორმით;
- ისარგებლოს ბანკების (მათ შორის უცხოური) და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების კრედიტებით;
- განათავსოს საკუთარი სახსრები საბანკო დეპოზიტზე;
- დააფინანსოს სხვადასხვა პროექტები საქართველოში და საზღვარგარეთ, შექმნას საწარმოები, გახსნას ფილიალები და წარმომადგენლობები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, შეიძინოს ტექნიკური საშუალებები, სახალხო მოხმარების საქონელი და დამხმარე მასალები, გაუწიოს და მიიღოს დახმარება, მოახდინოს ბარტერული გარიგებანი კანონით დადგენილი წესით;
- მიიღოს მონაწილეობა, როგროც საქართველოს, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებულ კორპორაციებში, კონცერნებში, ფონდებში, კონსორციუმებში, კავშირებში და ა.შ. კანონით დადგენილი წესით;
- დადგენილი წესის შესაბამისად აწარმოოს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ყოველგვარი გარიგებანი და სხვა იურიდიული ქმედებანი, რომლებიც შეესაბამება მის მიზნებსა და საქმიანობის საგანს;
- დადგენილი წესით შეიძინოს აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
- ააშენოს, შეიძინოს, აიღოს და გასცეს იჯარით უძრავი და მოძრავი ქონება, მატერიალური ფასეულობანი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შექმნას ფონდები;
- დაამყაროს კონტაქტები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებთან მისი მიზნების განხორციელებისათვის;
- განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპიდაპირ ემსახურება მისი მიზნებისა და ინტერესების შესრულებას, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს იმავე ან მსგავის მიზნების მქონე ორგანიზაციებში, ფონდებში, კავშირებში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგელებს გარეთ;

– განახორციელოს სხვა სახის საქმიანობა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომელიც საჭიროა ასოციაციის მიერ დასახული მიზნების და ამოცანების მისაღწევად და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

5. ასოციაციის წევრთა უფლებამოსილებანი

5.1. ასოციაციის წევრობა არის ინდივიდუალური და კოლექტიური. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ასოციაციის საქმიანობით დაინტერესებული ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აღიარებს ასოციაციის წესდებას, უშუალოდ მონაწილეობს მისი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციაში და რეგულარულად იხდის საწევრო გადასახადებს.

5.2. ასოციაციში წევრად მიღებას ახდენს გამგეობა წერილობითი განცხადების საფუძველზე.

5.3. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

– მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და არჩეულ იქნას ასოციაციის გამგეობაში და კომისიებში;

– მოითხოვოს სამართლებრივი ინტერესებისა და უფლებების დაცვა;

– ისარგებლონ ასოციაციის საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

5.1. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

– დაიცვას ასოციაციის წესდების მოთხოვნები;

– თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

– არ დაუშვას ასოციაციის სახელისა და საქმიანობის დისკრედიტაცია;

– დროულად გადაიხადოს საწევრო შენატანები;

– არ გაამჟაღვნოს ასოციაციის კონფიდენციალური ინფორმაცია.

5.2. ასოციაციის წევრს უფლება აქვს ნებაყოფლობით გავიდეს ასოციაციის წევრობიდან წერილობითი ახსნა-განმარტების შემდეგ.

5.3. ასოციაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან თუ:

– 6 თვის განმავლობაში არ გადაიხდის საწევრო გადასახადს;

– მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდების მოთხოვნებს;

5.4. ასოციაციას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრები. საპატიო წევრობა საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიენიჭოს საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრებ პირებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პირველადი ჯანდაცვისა და საოჯახო მედიცინი განვითარებაში.

5.5. ასოციაციის საპატიო წევრი არ მონაწილეობს ასოციაციის არჩევნებსა და ყოველდღიურ საქმიანობაში, აგრეთვე, არ იხდის საწევრო გადასახადს.

6. ასოციაციის სტრუქტურა

6.1. ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა არა უმცირეს წელიწადში ერთხელ გამგეობის მიერ.

6.2. რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეული იქნეს ასოციაციის წევრთა 1/3-ის, ასოციაციის თავმჯდომარის ან გამგეობის წევრთა 2/3-ის ინიციატივით.

6.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ასოციაციის წევრთა 2/3. ასოციაციის წესდების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე წევრთა ხმების 2/3. სხვა გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ასოციაციის წევრთა ნახევარზე მეტის ხმას.

6.4. თუ წევრები ვერ ესწრებიან საერთო კრებას, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში წერილობით. ისინი უთანაბრდებიან კონფერენციაზე დამსწრე წევრებს.

6.5. ასოციაციის საერთო კრება:

- ამტკიცებს, ცვლის და შეაქვს ცვლილებები წესდებაში;
- ირჩევს გამგეობას, ცვლის მის შემადგენლობას, ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს;
- განსაზღვრავს ასოციაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და გეგმებს;
- იღებს გადაწყვეტილებას სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფუძნების თაობაზე;
- იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ.

6.6. საერთო კრებებს შორის პერიოდში ასოციაციის ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანოა ასოციაციის გამგეობა.

6.7. ასოციაციის გამგეობა შედგება 7 წევრისაგან. გამგეობაში შედიან თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კრების მიერ არჩეული სხვა პირები.

6.8. გამგეობის სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის მიერ. გამგეობის წევრებს სხდომის მოწვევის შესახებ ეცნობებათ წერილობით.

6.9. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის 4 წევრი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

6.10. გამგეობის სხდომების გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე გამგეობის წევრები.

6.11. გამგეობამ შეიძლება შექმნას მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები. ყველა კომისია ანგარიშვალდებულია ასოციაციის გამგეობის წინაშე.

6.12. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

- კრების გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა;
- ასოციაციის წევრების მიღების, გარიცხვის, გასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- შესასვლელი და საწევრო გადასახადების გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრა;
- ხელშეკრულებების დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საერთაშორისო კავშირების დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- გადაწყვეტილებების მიღება ასოციაციის ფილიალების, განყოფილებების და სხვა სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე, სამეურნეო ორგანიზაციების დაფუძნების თაობაზე, მათი საქმიანობის კოორდინირება;
- ასოციაციის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე პროექტების შემუშავება და განხორციელება; ამისათვის საჭირო დაფინანსების წყაროების მოძიება;
- გადაწყვეტილებების მიღება ყველა სხვა მიმდინარე საკითხებზე, რომლებიც ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვენ და რომელთა გადაწყვეტაც ასოციაციის კრების აუცილებელ კომპეტენციას არ განეკუთვნება.

6.13. ასოციაციის გამგეობის წევრები არიან:

- **გურამ კიკნაძე**, დაბადებული 27.11.1940 წელს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორპ. 5, ბინა 46; პირადი №01010003557, პ/მ №ა 0066443, გაცემული 31.10.21995 წელს თბილისის ვაკის რაიონის შს მე-3 ქვეგანყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის საოჯახო მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, საოჯახო მედიცინის კათედრის პროფესორი.

- **გივი ჯავაშვილი,** დაბადებული 15.04.1963 წელს თბილისში; მცხოვრები ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწინვალის გამზირი №23; პირადი №01025006536, პ/მ№ა 0154295, გაცემული 27.05.1997 თბილისის საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს I ქვეგანყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის საოჯახო მედიცინის კათედრის გამგე.
- **მარინე შიხაშვილი**, დაბადებული 16.08.1956 წელს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. №9, ბინა 49; პირადი №01008014794, პ/მ № ა 0169937, გაცემული 08.10.1997 წელს თბილისის ვაკის რაიონის შს სამმართველოს მიერ; პროფესიით ექიმი, შპს მე-9 ბავშვთა პოლიკლინიკის საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრის მთავარი ექიმი, ოჯახის ექიმ-ტრენერი.
- **ნინო მოროშკინა,** დაბადებული 1974 წლის 19 იანვარს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, ი.ნიკოლაძის ქ. №5ა; პირადი №01017002618, პ/მ №ბ 0060181, გაცემული 30.06.1995 თბილისის მთაწმინდის შს განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;
- **ირმა ხონელიძე**, დაბადებული 1969 წლის 17 სექტემბერს აბაშაში, მცხოვრები ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქუჩა №18, ბ.46; პირადი №01023044554, პ/მ №ბ 0324661, გაცემული 00.00.2001 თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი;
- **ალექსანდრე ალადაშვილი**, დაბადებული 24.01.1952 წელს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, კეკელიძის ქუჩა № 1; პირადი № 01008005482, პ/მ № ა0067399 გაცემული 17.08.1995 წელს თბილისის ვაკის რაიონის შს განყოფილების მიერ; პროფესიით ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის გულ-სისხლძარღვთა კათეტერიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.
- **ქეთევან ლორია**, დაბადებული 26.09.1952 წელს ბათუმში, მცხოვრები ქ. მცხეთა, აღმაშენებლის გამზ. №58; პირადი №31001003219, პ/მ №ბ 0093831, გაცემული 22.05.1996 წელს მცხეთის რაიონის შს გამყოფილების მიერ;

  პროფესიით ექიმი.

6.14. გამგეობას ხელმძღვანელობს ასოციაციის თავმჯდომარე.

6.15. ასოციაციის თავმჯდომარე:

- ასრულებს ასოციაციის გამგეობის და საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- ახდენს გამგეობის მუშაობის ორგანიზებას, იწვევს და უძღვება გამგეობის სხდომებს;
- ხელს აწერს ასოციაციის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს, გარიგებებს, ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს;
- წარმოადგენს ასოციაციას ნებისმიერ ინსტანციაში;
- ანაწილებს მოვალეობებს გამგეობის წევრთა შორის;
- ასახელებს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას;
- გამგეობასთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის ფულადი სახსრების განკარგვის შესახებ;
- ნიშნავს და ათავისუფლებს ასოციაციის აპარატის თანამშრომლებს.

6.16. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციების შესრულება ეკისრება მოადგილეს თავმჯდომარის მინდობილობის საფუძველზე.

7. ასოციაციის საკუთრება და შემოსავლის წყაროები

7.1. ასოციაციას შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება, გარდა ბრუნვიდან ამოღებული ქონებისა.

7.2. ასოციაციის ქონება და სახსრები იქმნება:

- საწევროებით;
- შემოწირულობებით;
- გრანტებით;
- კანონით ნებადართული სხვა საქმიანობით.

7.3. ასოციაციის შემოსავლები უნდა მოხმარდეს ასოციაციის საწესდებო მიზნების განხორციელებას და არ დაიშვება მის წევრთა შორის გადანაწილება.

8. ასოციაციის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

8.1. ასოციაცია კანონით დადგენილი წესით ახორციელებს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას, მათ შორის საგამომცემლო საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ასოციაციას უფლება აქვს დააფუძნოს საწარმოები „მეწარმეთა შესახებ“ და „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონების შესაბამისად.

8.3. ასოციაციის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება მოხმარდება მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას; მისი განაწილება ასოციაციის წევრებს შორის დაუშვებელია.

9. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

9.1. ასოციაციის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ასოციაციის რეორგანიზაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- გაკოტრებისას ან რეგისტრაციის გაუქმებისას;
- თუ ასოციაცია არსებითად გადავიდა სამეურნეო საქმიანობაზე;
- საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით.

9.3. ასოციაციის ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა, მაგრამ თუ ლიკვიდაციის საკითხებთან დაკავშირებით გამგეობის წევრებს შორის უთანხმოებაა, ლიკვიდაციას ახორციელებენ სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორები კანონით დადგენილი წესით.

9.4. ასოციაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრეიდტორიები, დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები არიან სასამართლოს გადაწყვეტილებით:

- ანალოგიური მიზნის მქონე კავშირი;
- საქველმოქმედო ორგანიზაციები;
- სახელმწიფო.

9.5. ინფორმაცია ასოციაციის ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონება შეიძლება განაწილდეს გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.

ასოციაციის დამფუძნებლები

1. გურამ კიკნაძე
2. გივი ჯავაშვილი
3. ნინო მოროშკინა
4. მარინე შიხაშვილი
5. ირმა ხონელიძე

6. ალექსანდრე ალადაშვილი
7. რუსუდან თავხელიძე
8. იამზე ყიფიანი
9. ნინო კიკნაძე
10. ეკა ფაღავა
11. ქეთევან ლორია
12. აკაკი ბარკალაია

ასოციაციის გამგეობის წევრები:

1. გურამ კიკნაძე
2. გივი ჯავაშვილი
3. მარინე შიხაშვილი
4. ირმა ხონელიძე
5. ნინო მოროშკინა
6. ქეთევან ლორია
7. ალექსანდრე ალადაშვილი